

2024 წლის ინდივიდუალური
ფინანსური ანგარიშგება
შპს „რონის“ (ს/კ 205244519)

შინაარსი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
საქმიანობის შედეგები
ფულადი სახსრების მოძრაობა

ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნები:

1. ზოგადი ინფორმაცია
2. მომზადების საფუძველი
3. ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები
4. სავაჭრო მოთხოვნები
5. გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი
6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები
7. სხვა მიმდინარე აქტივები
8. არამატერიალური აქტივები
9. ძირითადი საშუალებები
10. სავაჭრო ვალდებულებები
11. დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები
12. გადასახადები
13. ფინანსური ვალდებულებები
14. სხვა ვალდებულებები
15. კაპიტალი
16. ამონაგების აღიარება
17. სხვა შემოსავალი
18. საოპერაციო იჯარა
19. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი
20. წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან
21. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები
22. ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2023 წ.	2024 წ.
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	3	1338207	1430089
სავაჭრო მოთხოვნები	4	122977	132607
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	5	345341	400711
მარაგები	6	338,961	462,452
- მზა პროდუქცია		5854	9666
- სხვა		333108	452786
საინვესტიციო ქონება			
სხვა მიმდინარე აქტივები	7		
ბიოლოგიური აქტივები			
- თვითღირებულების მოდელით			
- გადაფასების მოდელით			
გუდვილი			
სხვა არამატერიალური აქტივები	8	52068	41254
ძირითადი საშუალებები	9	1024676	2657323
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სულ აქტივები		3,222,229	5,124,437
ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	10	7868	12102
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	11	52352	39187
საგადასახადო ვალდებულებები	12	128886	146096
გამოუმუშავებელი შემოსავალი			
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	13		
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	13		1621104
მიღებული გრანტები			
სხვა ვალდებულებები	14	40823	35093
სულ ვალდებულებები		229,929	1,853,582

საკუთარი კაპიტალი	15		
კაპიტალი			
საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		2,992,300	3,270,854
გადაფასების რეზერვი			
სხვა რეზერვები			
სულ საკუთარი კაპიტალი		2,992,300	3,270,854
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		3,222,229	5,124,437

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს "რონის"-ის
სახელით 2025 წლის 30 სექტემბერს.
ეიმი ოლსონ ბინდერი შპს "რონის"-ს დირექტორი

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება
(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2023 წ	2024 წ
ნეტო ამონაგები		8,208,980	9,252,995
საქონლის გაყიდვიდან	16	8,208,980	9,252,995
მომსახურების გაწევიდან			
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
სხვა			
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		-	-
		2,591,106	2,975,492
საწყისი მარაგები		-280,792	-338,961
მარაგების შესყიდვა		-	-
		2,649,276	3,098,983
გადამუშავების დანახარჯები			
საბოლოო მარაგები		338,961	462,452
საერთო მოგება		5,617,874	6,277,503
სხვა შემოსავალი	17	8,898	21,423
დასაქმებულთა ანაზღაურება	11	-	-
		1,945,860	2,536,626
ცვეთა და ამორტიზაცია		-248,897	-310,186
საპროცენტო შემოსავალი	17		41,498
საპროცენტო ხარჯი	13		-54,758
იჯარის ხარჯი	18	-463,527	-600,764
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	19	-	-
		2,067,688	2,498,525
სულ საოპერაციო ხარჯები		-	-
		4,717,074	5,937,937
საოპერაციო მოგება		900,800	339,565
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:			
ფინანსური აქტივები			
მარაგები			
სხვა არაფინანსური აქტივები			
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	20	-5,798	1,027
მიღებული დივიდენდები			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		-146	-62,038

მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		894,856	278,554
მოგების გადასახადი			
მოგება/(ზარალი)		894,856	278,554
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	15	894,856	278,554
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		2,097,445	2,992,300
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		894,856	278,554
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		2,992,301	3,270,854

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს "რონის"-ის
სახელით 2025 წლის 30 სექტემბერს.
ეიმი ოლსონ ბინდერი შპს "რონის"-ს დირექტორი

ფულადი სახსრების მოძრაობა
(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	2023წ.	2024წ.
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1,056,556	731,822
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-554,871	-2,207,311
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	0	1,566,345
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	501,685	90,856
სავალუტო კურსის ეფექტი	-5,798	1,027
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	842,319	1,338,206
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	1,338,206	1,430,089

გამოსაშვებად დამტკიცებული და
ხელმოწერილია შპს "რონის"-ის სახელით 2025
წლის 30 სექტემბერს.

ეიმი ოლსონ ბინდერი შპს "რონის"-ს
დირექტორი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „რონის“ (შემდგომში „კომპანია“) არის 2008 წლის 11 მარტს საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ვაჟა ფშაველას გამზ., №3, ბ.№3, ხოლო ფაქტობრივი მისამართია საქართველო, ქ.თბილისი, თემქა, ძმები ჭილაშვილების #30.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სარესტორნო მომსახურება (რესტორნები და საკვებით მობილური მომსახურების საქმიანობები). კომპანიას ამჟამად აქვს თბილისის მასშტაბით 5 მოქმედი სარესტორნო ობიექტი საბურთალოს, ვაკის, გლდანისა, დიდმის და ავლაბრის ტერიტორიაზე, რომლებიც აღებული აქვს საოპერაციო იჯარით. 2024 წლის მარტის თვეში დაემატა ახალი ფილიალი ავლაბარში, რომელსაც ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი. ისევე, როგორც სხვა ფილიალები, ავლაბრის ფილიალიც იჯარით არის აღებული. 2024 წლის აგვისტოს თვეში კომპანიამ შეიძინა უძრავი ქონება საწარმოს, საწყობისა და ოფისისთვის თემქის ტერიტორიაზე.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ჰყავს ოთხი მეწილე 2%, 48%, 48% და 2%-ის მფლობელი ფიზიკური პირები ეზრა კინ ბინდერი (აშშ), ერიკ ლაილ ბინდერი (აშშ), ეიმი ოლსონ ბინდერი (აშშ) და ვაიეთ დინ ბინდერი (აშშ). კომპანიის დირექტორებია ეიმი ოლსონ ბინდერი და ერიკ ლაილ ბინდერი.

2. მომზადების საფუძველი

მომზადების საფუძველი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში „მსს ფასს“), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე (რომელიც გამოიყენება მსს ფასს 35-ე განყოფილების „მსს ფასს-ზე გადასვლა“-ფარგლებში). ფინანსური ანგარიშგება ასევე შესაბამისობაშია საქართველოს კანონთან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“. კომპანია ნათლად და უპირობოდ აცხადებს, რომ:

- მას 2019 წელს წარდგენილი აქვს 2018 წლის ფინანსური ანგარიშგება და მსს ფასს-ის პირველად გამოყენების თარიღი არის 2018 წლის 01 იანვარი;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მსს ფასს, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება, რაც ასევე გამოყენებულ იქნება მსს ფასს-ის შემდგომი პერიოდების ფინანსური ანგარიშგების პაკეტის მომზადებისას შესაძარისი ინფორმაციის წარმოდგენით.
- ორგანიზაციის მიერ საანგარიშგებო პერიოდად მიჩნეულია კალენარული წელი, რომელიც მოიცავს პერიოდს პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და გამოთქვა კმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ კომპანიას აქვს საკმარისი რესურსი, გააგრძელოს საქმიანობა უახლოეს მომავალში, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ხელმძღვანელობა არ ფლობს ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. აქედან გამომდინარე, ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობისა და საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა წარმოადგენს იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტას, რომელშიც იგი ფუნქციონირებს. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (*“GEL”*). კომპანია უცხოურ ვალუტას - ევროს და დოლარს, იყენებს იმპორტირებული პროდუქციის შესაძენად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

წარდგენის ვალუტა

ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ხდება ლარში და თანხები დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე, თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.

3. ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში, ეროვნულ ვალუტას რეზიდენტ ბანკში და უცხოური ვალუტას რეზიდენტ ბანკში.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	2023	2024
ნაღდი ფული სალაროში	9 373	10 234
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1 276 141	1 386 505
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	52 693	33 350
სულ	1 338 207	1 430 089

4. სავაჭრო მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების გაანალიზება იმის დასადგენად, ხომ არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ ეს თანხები არ ექვემდებარება ამოღებას. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. კომპანია ძირითადად საცალოდ მოვაჭრეა რაც იმას ნიშნავს, რომ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მინიმალური სავაჭრო მოთხოვნები უფიქსირდება.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	2023	2024
სავაჭრო მოთხოვნები	122 977	132 607
სულ	122 977	132 607

5. გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი

გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავლები მოიცავს სასაქონლო მატერიალური მარაგების, ძირითადი საშუალებების შეძენის, საიჯარო მომსახურების მომწოდებლებზე გადახდილ ავანსებს და კომუნალური მომსახურების მომწოდებელი კომპანიის სადეპოზიტო თანხებს.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	2023	2024
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	345 341	400 711
სულ	345 341	400 711

6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე მარაგების ძირითადი ნაწილი მოიცავს ძირითადი საქმიანობისთვის განკუთვნილ ნედლეულსა და მასალას, (სახარჯი მასალა).

მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	2023	2024
ნედლეული და მასალები	162 440	154 602
მზა პროდუქცია	5 854	9 666
დაუმთავრებელი წარმოება	19 382	22 795
სხვა მარაგი	0	0
სულ	187 675	187 063

7. სხვა მიმდინარე აქტივები

სხვა მიმდინარე აქტივები მოიცავს ძირითადად კომპანიის საკუთრებაში არსებულ სხვა მარაგებს, რომელთა ჩამოწერაც ხდება სააგნარიშგებო პერიოდის განმავლობაში გახარჯული რაოდენობის მიხედვით და სხვა მოკლევადიან მოთხოვნებს. სხვა სასაქონლო მარაგები უმეტესწილად მოიცავს მცირეფასიან ინვენტარს, ავეჯის და სხვა ინვენტარის საწარმოებელ მასალებსა და კაპიტალური რემონტისთვის შეძენილ მასალებს.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	2023	2024
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	151 286	275 390
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	0	0
სულ	151 286	275 390

8. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს ცალკე შეძენილ ლიცენზიებს (მათ შორის შეძენილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა) და სხვა არამატერიალური აქტივებს, რომლებიც აისახება დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. არამატერიალური აქტივის ამორტიზირება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადები შემდეგია: - არამატერიალური აქტივები 3-10 წელი.

თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა უნდა განისაზღვროს ხელმძღვანელობის საუკეთესო შეფასების საფუძველზე, მაგრამ ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	არამატერიალური აქტივები	სულ
ბალანსი 01.01.2024წ.	168 359	168 359
დამატება	-	-
გასვლა	-	-
ჩამოწერა	-	-
ბალანსი 31.12.2024წ.	168 359	168 359
ცვეთა		
ბალანსი 01.01.2024წ.	116 290	116 290
წლის დარიცხული ამორტიზაცია	10 814	10 814
გასვლა	-	-
ჩამოწერა	-	-
ბალანსი 31.12.2024წ.	127 104	127 104
ნარჩენი ღირ-ბა		
01.01.2024წ.	52 068	52 068
31.12.2024წ.	41 254	41 254

9. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას. მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც წარმოიშვა. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი ვარგისია გამოსაყენებლად, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ მოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის განმავლობაში. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საწარმოსათვის და ეყრდნობა მსგავსი აქტივების მქონე საწარმოს გამოცდილებას. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა. სხვა ძირითადი საშუალებები მოიცავს იჯარით აღებული მაღაზიების კეთილმოწყობას, რომელზეც ცვეთის დარიცხვა ხდება საიჯარო ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

- მანქანა-დანადგარები 7-10 წელი
- ოფისის აღჭურვილობა 2-10 წელი
- ავეჯი და სხვა ინვენტარი 2-10 წელი
- სხვა ძირითადი საშუალებები 3-5 წელი

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში. ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა. 2024 წელს შეძენილ იქნა მიწა და მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობები.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	მიწის ნაკვეთები	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარ ები	ოფისის აღჭურვილ ობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სხვა ძირითადი საშუალებე ბი	სულ
31 დეკემბერი 2023	0	0	310,090	341,539	501,430	873,669	2,026,728
შემოსვლა/რემონტი	678,646	745,731	37,562	30,738	165,349	274,271	1,932,298
გადაფასება			0	0	0	0	0
გასვლა			0.00	279	0	0	279
31 დეკემბერი 2024	678,646	745,731	347,652	371,998	666,780	1,147,940	3,958,747
ცვთა და გაუფასურება							0
31 დეკემბერი 2023	0	0	144,890	286,359	172,961	397,843	1,002,053
პერიოდის ცვთა		13,423	33,457	27,692	86,164	138,636	299,372
გასვლა			-	-	-	-	0
31 დეკემბერი 2024	0	-13,423	-178,347	-314,051	-259,125	-536,478	-1,301,424
წმინდა საბალანსო ღირებულება							0
31 დეკემბერი 2023	0	0	165,200	55,180	328,469	475,827	1,024,676
31 დეკემბერი 2024	678,646	732,308	169,305	57,947	407,655	611,462	2,657,323

10. სავაჭრო ვალდებულებები

აღნიშნული თანხები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე აღებულ ვალდებულებებს და პროცენტებს არ ითვალისწინებს. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის ფულად ერთეულში (ლარში), საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	2023	2024
ადგილობრივი მომწოდებელი	7 868	12 102
უცხოელი მომწოდებელი	-	-
სულ	7 868	12 102

11. დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ხელფასები, გასამრჯელოები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებები, ბიულეტენები, პრემიები, ბონუსები და არაფულადი სარგებლები კომპანიის მიერ ექვემდებარება დარიცხვას იმავე პერიოდში, რომელშიც კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში. კომპანია ჩართულია სახელმწიფო საპენსიო ფონდში, რომლის თანახმადაც კომპანია თანამშრომლებისთვის ხელფასის გადახდასთან ერთად საპენსიო ფონდში რიცხავს მისთვის განკუთვნილ საპენსიო გადასახადს.

12. გადასახადები

მოგების გადასახადი

საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი, ე.წ. „ესტონური“, მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება). კომპანია ჩართულია მოგებით დაბეგვრის ე.წ. „ესტონური“ მოდელის რეჟიმში. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება-ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები. 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდში დივიდენდი არ გაცემულა.

დღგ

კომპანიის მიერ გაყიდვების/მომსახურების გაწევის ოპერაციებთან დაკავშირებული დღგ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელია მიწოდებული საქონლის ან გაწეული მომსახურების შესაბამისად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში. კომპანიას შეუძლია განხორციელოს დღგ-ს ჩათვლა შესაბამისი ჩასათვლელი თანხების დეკლარირების გზით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დაშვებულია გადამხდელის მიერ დღგ-ის თანხის გადახდა ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლის გათვალისწინებით). შესაბამისად, კომპანიის მიერ განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების საფუძველზე გადასახდელი დღგ, რომლის გადახდაც არ მომხდარა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება (აღიარდება) ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლების გათვალისწინებით). საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, დღგ-თი დაბეგვრა ხდება წინასწარ კომპანიის მიერ მიღებული კომპენსაციის თანხების და ამავდროულად იყენებს წინასწარ გადახდილი დღგ-ს ჩათვლის უფლებას.

13. ფინანსური ვალდებულებები

სესხები თავდაპირველად საოპერაციო ფასით აისახება (ანუ კრედიტორისათვის გადასახდელი თანხის ახლანდელი ღირებულება, საოპერაციო ხარჯების ჩათვლით). სესხები შემდგომში ამორტიზირებული ხარჯით აისახება. საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საფუძველზე და აისახება ფინანსურ ხარჯებში. სესხები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუკი კომპანიას არ გააჩნია უპირობო უფლება აღნიშნული ვალდებულების გასტუმრების გადავადების შესახებ, ანგარიშგების თარიღიდან არანაკლებ 12 თვის ვადით.

ნასესხები სახსრების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მათთან დაკავშირებული ვალდებულება შესრულდება, გაბათილდება ან ამოიწურება და თუ მისი პირობები არსებითად შეიცვლება.

გასული წლებისგან განსხვავებით, 2024 წლის განმავლობაში კომპანიამ ბანკისგან ისესხა გრძელვადიანი, 8 წელზე გადანაწილებული სესხი უძრავი ქონების შეძენის მიზნით. სესხის პირობის თანახმად, პირველი ორი წლის განმავლობაში სესხის პროცენტი ფიქსირებულია, ხოლო მომდევნო პერიოდებში მიზნული იქნება საქართველოს ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთზე.

14. სხვა ვალდებულებები

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	2023	2024
სხვა ვალდებულებები	40 823	35 093
სულ	40 823	35 093

15. კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება გაუნაწილებელი მოგებისგან, რომელშიც შედის მიმდინარე წლის მოგება ან ზარალი.

კაპიტალის მართვის მიზნებია:

- კომპანიის სტაბილურობის საჭირო დონის შენარჩუნება და ამით მფლობელებისთვის გარკვეული უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- კაპიტალის ეფექტურად მართვა და საქმიანობის განვითარების მხარდაჭერა იმის უზრუნველყოფით, რომ გამოყენებულ კაპიტალზე უკუგება აკმაყოფილებდეს მფლობელთა მოთხოვნებს;
- მტკიცე ფინანსური პოზიციის შენარჩუნება, საქმიანობის გაფართოების ხელშეწყობა და მფლობელებისთვის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

დივიდენდების აღიარება ხდება, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები ცხადდება, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

2024 წელს კომპანიის მიერ არ მომხდარა გაუნაწილებელი მოგებიდან დივიდენდების გამოცხადება.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ბალანსი 01 იანვარი 2024წ.	-	2 992 300	2 992 300
შენატანი	-	-	-
გაცემა	-	-	-
დივიდენდები	-	-	-
მიმდინარე წლის მოგება/ზარალი		278 554	278 554
ბალანსი 31 დეკემბერი 2024	-	3 270 854	3 270 854

16. ამონაგების აღიარება

ამონაგები მოიცავს მხოლოდ კომპანიის მიერ თავის ანგარიშზე მიღებულ ან მისაღებ ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხას. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით.

კომპანია ოპერირებს, როგორც სწრაფი კვების ობიექტების ქსელი და შემოსავლებს იღებს სწრაფი კვების პროდუქტების რეალიზაციიდან, სადაც კონტროლი მომხმარებელს გადაეცემა სალაროსთან პროდუქტის შეძენისას, დროის გარკვეულ მომენტში. უმეტესად ოპერაციის ღირებულების გადახდა ხდება ნაღდი ფულით ან საბანკო ბარათის მეშვეობით. იშვიათ შემთხვევებში კომპანია შემოსავალს იღებს საბანკო ჩარიცხვის გზით.

ამასთან, კომპანია იყენებს ქვეკონტრაქტორს, პროდუქტების მომხმარებელამდე მისატანად. როდესაც ქვეკონტრაქტორი მიიღებს პროდუქტს, კონტროლი გადაეცემა ქვეკონტრაქტორს, რაც კომპანიისთვის წარმოადგენს მტკიცებულებას, რომ კონტროლის გადაცემის ყველა კრიტერიუმი კმაყოფილდება და შემოსავალს აღიარებს დროის გარკვეულ მომენტში.

ამონაგების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მოცემული ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში. როდესაც ჩნდება განუსაზღვრელობა ამონაგებში უკვე ჩართული თანხის მიმართ, ამოუღებელი თანხა ანუ თანხა, რომლის ამოღების ალბათობა ნულის ტოლია, აღიარებული იქნება როგორც ხარჯი. შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე. გაყიდვები ნაჩვენებია დღ-ს გარეშე.

17. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი მოიცავს კომპანიის მიერ საანგარიშგებო პერიოდის ფარგლებში მისი მომწოდებლებისგან უსასყიდლოდ მიღებულ მარაგების, დეპოზიტიდან მიღებული სარგებლის, ძირითადი საშუალების გაყიდვით მიღებულ თანხასა და ქვე იჯარით გაცემული მომსახურების თანხას.

18. საოპერაციო იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე - იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარისთვის.

საოპერაციო იჯარა წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და წარსდგება „რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების“ ან „იჯარის ხარჯის“ მუხლში თავისი შინაარსის მიხედვით.

19. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	2023	2024
რეკლამის ხარჯები	114,683	201,196
უნიფორმების ხარჯი	542	584
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	289,989	363,701
უსასყიდლო მიწოდებები თანამშრომლებზე	66,221	94,509
საპენსიო დანარიცხები	45,167	58,958
კომუნიკაციის ხარჯები	13,281	17,565
კომუნალური ხარჯები	143,324	195,759
დაზღვევა	38,229	45,410
მივლინების ხარჯი		3,390
რემონტი	81,529	76,598
კომპიუტერის ხარჯები	506	922
საკონსულტაციო ხარჯები	101,822	110,291
სამეურნეო ხარჯი	34,764	71,326
საგადასახადო ხარჯი	9,549	16,820
საბანკო მომსახურება	4,662	5,526
ტერმინალის და ვოლტის საკომისიო	983,864	1,071,094
მოგების გადასახადი	6,148	7,654
საწვავის ხარჯი	24,740	27,085
სხვა ხარჯი	108,666	130,137
სულ	2,067,688	2,498,525

20. წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	2023	2024
საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება	3,848	5,315
საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი	(9,646)	(4,288)
სულ	(5,798)	1,027

21. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ

არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში. კომპანიას დასრულებული საანგარიშო პერიოდის შემდგომ არსებით მოვლენებს ადგილი არ ჰქონია, რომელიც ფინანსური ანგარიშგებაზე იქონიებდა გავლენას.

22. ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას. ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან.

კომპანიაში ანარიცხები აღიარდება, როდესაც:

- კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად;
 - სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა;
 - შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.
- კომპანიას მიმდინარე პერიოდში არ ჰქონია პირობითი აქტივები, ვალდებულებები და ანარიცხები.

აღნიშნული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2023 წ.	2024 წ.
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	3	1338207	1430089
სავაჭრო მოთხოვნები	4	122977	132607
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	5	345341	400711
მარაგები	6	338,961	462,452
- შზა პროდუქცია		5854	9666
- სხვა		333108	452786
საინვესტიციო ქონება			
სხვა მიმდინარე აქტივები	7		
ბიოლოგიური აქტივები			
- თვითღირებულების მოდელით			
- გადაფასების მოდელით			
გუდვილი			
სხვა არამატერიალური აქტივები	8	52068	41254
ძირითადი საშუალებები	9	1024676	2657323
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში			
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში			
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სულ აქტივები		3,222,229	5,124,437
ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	10	7868	12102
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	11	52352	39187
საგადასახადო ვალდებულებები	12	128886	146096
გამოუმუშავებელი შემოსავალი			
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	13		
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	13		1621104
მიღებული გრანტები			
სხვა ვალდებულებები	14	40823	35093
სულ ვალდებულებები		229,929	1,853,582

საკუთარი კაპიტალი	15		
კაპიტალი			
საემისიო შემოსავალი			
გამოსყიდული საკუთარი აქციები			
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		2,992,300	3,270,854
გადაფასების რეზერვი			
სხვა რეზერვები			
სულ საკუთარი კაპიტალი		2,992,300	3,270,854
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		3,222,229	5,124,437

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს "რონის"-
ის სახელით 2025 წლის 30 სექტემბერს.

ეიმი ოლსონ ბინდერი შპს "რონის"-ს დირექტორი



საქმიანობის შედეგების ანგარიშგება
(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2023 წ	2024 წ
ნეტო ამონაგები		8,208,980	9,252,995
საქონლის გაყიდვიდან	16	8,208,980	9,252,995
მომსახურების გაწევიდან			
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
სხვა			
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		-2,591,106	-2,975,492
საწყისი მარაგები		-280,792	-338,961
მარაგების შესყიდვა		-2,649,276	-3,098,983
გადამუშავების დანახარჯები			
საბოლოო მარაგები		338,961	462,452
საერთო მოგება		5,617,874	6,277,503
სხვა შემოსავალი	17	8,898	21,423
დასაქმებულთა ანაზღაურება	11	-1,945,860	-2,536,626
ცვეთა და ამორტიზაცია		-248,897	-310,186
საპროცენტო შემოსავალი	17		41,498
საპროცენტო ხარჯი	13		-54,758
იჯარის ხარჯი	18	-463,527	-600,764
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	19	-2,067,688	-2,498,525
სულ საოპერაციო ხარჯები		-4,717,074	-5,937,937
საოპერაციო მოგება		900,800	339,565
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:			
ფინანსური აქტივები			
მარაგები			
სხვა არაფინანსური აქტივები			
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	20	-5,798	1,027
მიღებული დივიდენდები			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		-146	-62,038
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი		894,856	278,554
მოგების გადასახადი			
მოგება/(ზარალი)		894,856	278,554
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების)			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	15	894,856	278,554

კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		2,097,445	2,992,300
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		894,856	278,554
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		2,992,301	3,270,854

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს "რონის"-ის სახელით
2025 წლის 30 სექტემბერს.

გიმი ოლსონ ბინდერი შპს "რონის"-ს დირექტორი



ფულადი სახსრების მოძრაობა
(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	2023წ.	2024წ.
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1,056,556	731,822
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-554,871	-2,207,311
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	0	1,566,345
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	501,685	90,856
სავალუტო კურსის ეფექტი	-5,798	1,027
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	842,319	1,338,206
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	1,338,206	1,430,089

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს "რონის"-ის
სახელით 2025 წლის 30 სექტემბერს.

ეიმი ოლსონ ბინდერი შპს "რონის"-ს დირექტორი

